საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №72/ნ

2025 წლის 18 აგვისტო

ქ.თბილისი

სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩეკურაანთგორის საჯარო სკოლისა და სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევსურთსოფლის საჯარო სკოლის რეორგანიზაციისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

განხორციელდეს სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩეკურაანთგორის საჯარო სკოლისა და სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევსურთსოფლის საჯარო სკოლის რეორგანიზაცია სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩეკურაანთგორის საჯარო სკოლის სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევსურთსოფლის საჯარო სკოლასთან მიერთების გზით. რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს 2025 წლის 22 აგვისტომდე.

მუხლი 2

სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩეკურაანთგორის საჯარო სკოლის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევსურთსოფლის საჯარო სკოლა.

მუხლი 3

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ, №112, 26/09/2005) №2 დანართიდან ამოღებულ იქნეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილის №12 გრაფა.

მუხლი 4

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაცია.

მუხლი 5

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების მე-3 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების მე-3 მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 22 აგვისტოდან.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი